ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119253082**

თარიღი:**04/11/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N11 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით, კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფა განხორციელდეს ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N11 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

ა) საკრებულოს თავმჯდომარეს - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს - 30 (ოცდაათი) ლარი;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს - 30 (ოცდაათი) ლარი;

დ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს საკრებულოს აპარატის უფროსს - 30 (ოცდაათი) ლარი;

ე) განყოფილების უფროსებს - 25 (ოცდახუთი) ლარი;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს - 20 (ოცი) ლარი;

ზ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

თ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

ი) სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

კ) საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

ლ) სამდივნო განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილეს (ჯ. აბულაძე).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 16 იანვრის #119.119250164 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/